# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 24

20 13 წ. " 10 " 10

ქ.თბილისი

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის $56^2$-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, $56^3$-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205233022) 2013 წლის 31 დეკემბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000-ით.
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 10 ოქტომბრის №4 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი
ანა ზახტურიძე

*დანართი*

| აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით | მისანიჭებელი კვალიფიკაცია |
|---|---|---|
| ბაკალავრიატი | 1. ფილოლოგია (ჰუმანიტარული მეცნიერებანი, ფილოლოგია);<br>2. ისტორია (ჰუმანიტარული მეცნიერებანი, ისტორია)<br>3. ფსიქოლოგია (სოციალური მეცნიერებები, ფსიქოლოგია);<br>4. სოციალური მუშაობა (მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები, სოციალური მუშაობა - განხორციელდება 2013-2014 სასწავლო წლიდან);<br>5. საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესები (მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები,რეგიონმცოდნეობა - განხორციელდება 2013-2014 სასწავლო წლიდან);<br>6. მათემატიკა (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; მათემატიკა);<br>7. ინფორმატიკა (ინჟინერია; კომპიუტინგი/ ინფორმატიკა);<br>8. ფიზიკა (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; ფიზიკა);<br>9. გამოყენებითი ეკოლოგია (მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები; ეკოლოგია - განხორციელდება 2013-2014 სასწავლო წლიდან);<br>10. ეკონომიკა<br>(სოციალური მეცნიერებები; ეკონომიკა);<br>11. ბიზნესის ადმინისტრირება (მილევად რეჟიმში)<br>(ბიზნესის ადმინისტრირება; მენეჯმენტი);<br>12. მენეჯმენტი (ბიზნესის ადმინისტრირება; მენეჯმენტი - განხორციელდება 2013-2014 სასწავლო წლიდან);<br>13. ფინანსები (ბიზნესის ადმინისტრირება; ფინანსები - განხორციელდება 2013-2014 სასწავლო წლიდან);<br>14. ტურიზმის ბიზნესი (ბიზნესის ადმინისტრირება; ტურიზმი); | 1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი, სპეციალობა ფილოლოგია 1005.<br>2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი, სპეციალობა ისტორია 1004.<br>3. ფსიქოლოგიის ბაკალავრი 0707.<br>4. სოციალური მუშაობის ბაკალავრი 1107.<br>5. რეგიონმცოდნეობის ბაკალავრი 1104.<br>6. მათემატიკის ბაკალავრი 0501.<br>7. ინფორმატიკის ბაკალავრი 0401.<br>8. ფიზიკის ბაკალავრი 0502.<br>9. ეკოლოგიის ბაკალავრი 1102.<br>10. ეკონომიკის ბაკალავრი 0701.<br>11. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 0203 .<br>12. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 0203.<br>13. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 0204<br>14. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, სპეციალობა: ტურიზმი 0205. |
| მაგისტრატურა | 1. ქართული ლიტერატურის ისტორია (ჰუმანიტარული მეცნიერებანი,ფილოლოგია);<br>2. თარგმანმცოდნეობა (ჰუმანიტარული მეცნიერებანი, ფილოლოგია); | 1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი; სპეციალობა:ფილოლოგია; სპეციალიზაცია: ქართული |

| | | |
|---|---|---|
| | 3. კავკასიის ისტორიული დემოგრაფია (ჰუმანიტარული მეცნიერებანი, ისტორია);<br>4. ენათმეცნეირება (ჰუმანიტარული მეცნიერებანი, ფილოლოგია);<br>5. არქეოლოგია (ჰუმანიტარული მეცნიერებანი, არქეოლოგია);<br>6. ეთნოლოგია (ჰუმანიტარული მეცნიერებანი, ეთნოლოგია);<br>7. საქართველოს ისტორია (ჰუმანიტარული მეცნიერებანი, ისტორია);<br>8. ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება; ფსიქოლოგია (სოციალური მეცნიერებები, ფსიქოლოგია);<br>9. მათემატიკა (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; მათემატიკა);<br>10. ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომპიუტერული მოდელირება (ინჟინერია; კომპიუტინგი/ინფორმატიკა);<br>11. გეოფიზიკა (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგთაშორისი; გეოფიზიკა);<br>12. მცენარეთა ბიოლოგია და ბიოტექნოლოგია (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; ბიოლოგია/ სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი; გამოყენებითი ბიომეცნიერებები);<br>13. ნეირობიოლოგია (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; ბიოლოგია/ სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი; ნეირომეცნიერებები);<br>14. ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმია და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზა (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; ქიმია; ქიმიური ექსპერტიზა);<br>15. ეკოლოგია (მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები; ეკოლოგია /გარემოსმცოდნეობა; გარემოს დაცვა);<br>16. ეკონომიკა (სოციალური მეცნიერებები; ეკონომიკა);<br>17. ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) (ბიზნესის ადმინისტრირება; მენეჯმენტი); | ლიტერატურის ისტორია 100522.<br>2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი; სპეციალობა-ფილოლოგია, სპეციალიზაცია-თარგმანმცოდნეობა 100521.<br>3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი სპეციალობით ისტორია 1004 (საჭიროდ მიგვაჩნია მოხდეს სპეციალიზაციის "კავკასიის ისტორიული დემოგრაფია" ჩამატება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში).<br>4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი, სპეციალობით ფილოლოგია, სპეციალიზაციით ქართველური ენათმეცნიერება 100518.<br>5. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი; სპეციალობა: არქეოლოგია 1001.<br>6. ეთნოლოგიის მაგისტრი 1002.<br>7. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი, სპეციალობა-ისტორია, სპეციალიზაცია-საქართველოს ისტორია 100401.<br>8. ფსიქოლოგიის მაგისტრი 070703.<br>9. მათემატიკის მაგისტრი 0501.<br>10. ინფორმატიკის მაგისტრი 0401.<br>11. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი; სპეციალიზაცია: გეოფიზიკა 050702.<br>12. ბიოლოგიის მაგისტრი; სპეციალიზაცია: გამოყენებითი მეცნიერებები (ბიოტექნოლოგიები) 050408. |

| | | |
|---|---|---|
| | | 13. სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა მაგისტრი; სპეციალიზაცია : ნეირომეცნიერებები 050409.<br>14. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი; სპეციალობა: ქიმია; სპეციალიზაცია: ქიმიური ექსპერტიზა 050305.<br>15. ეკოლოგიის მაგისტრი; სპეციალიზაცია: გარემოს დაცვა 110203.<br>16. ეკონომიკის მაგისტრი 0701.<br>17. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 0203. |
| დოქტორანტურა | 1. ქართული ლიტერატურის ისტორია (ჰუმანიტარული მეცნიერებანი, ფილოლოგია);<br>2. არქეოლოგია (ჰუმანიტარული მეცნიერებანი, არქეოლოგია);<br>3. ეთნოლოგია (ჰუმანიტარული მეცნიერებანი, ეთნოლოგია);<br>4. თარგმანმცოდნეობა (ჰუმანიტარული მეცნიერებანი, ფილოლოგია);<br>5. საქართველოს ისტორია (ჰუმანიტარული მეცნიერებანი, ისტორია);<br>6. ქართველური ენათმეცნიერება (ჰუმანიტარული მეცნიერებანი, ფილოლოგია);<br>7. ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგია (სოციალური მეცნიერებები, ფსიქოლოგია);<br>8. ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება (სოციალური მეცნიერებები, ფსიქოლოგია);<br>9. საერთაშორისო სამართალი (სამართალი, საერთაშორისო სამართალი);<br>10. კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკური მოდელირება (ინჟინერია; კომპიუტინგი/ინფორმატიკა);<br>11. გეოფიზიკა (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგთაშორისი);<br>12. მცენარეთა ბიოლოგია და ბიოტექნოლოგია (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; ბიოლოგია; სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი);<br>13. ეკოლოგია და გარემოს დაცვა (მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები; ეკოლოგია/გარემოსმცოდნეობა);<br>14. მეხსიერების ნერვული მექანიზმები (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; ბიოლოგია/ სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი); | 1. ფილოლოგის დოქტორი 1005.<br>2. არქეოლოგიის დოქტორი 1001.<br>3. ეთნოლოგიის დოქტორი 1002.<br>4. ფილოლოგის დოქტორი 1005.<br>5. ისტორიის დოქტორი1004<br>6. ფილოლოგიის დოქტორი 1005 .<br>7. ფსიქოლოგიის დოქტორი 0707.<br>8. ფსიქოლოგიის დოქ-ტორი 0707.<br>9. საერთაშორისო სამართლის დოქტორი 0602.<br>10. ინფორმატიკის დოქტორი 0401.<br>11. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორი 0507.<br>12. ბიოლოგიის დოქტორი 0504.<br>13. ეკოლოგიის დოქტორი 1102.<br>14. სიცოცხლის შემსწავ-ლელ მეცნიერებათა დოქტორი 0504.<br>15. ეკონომიკის დოქტორი 0701. |

| | | |
|---|---|---|
| | 15. ეკონომიკა (სოციალური მეცნიერებები; ეკონომიკა);<br>16. ბიზნესის ადმინისტრირება (ბიზნესის ადმინისტრირება; მენეჯმენტი); | 16. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი 0203. |

*სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:*

| № | პროგრამის დასახელება | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|
| 1. | ქართულ ენაში მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა არაქართულენოვან აბიტურიენტთათვის | 60 |
| 2. | ტურიზმი (დამატებითი სპეციალობა) | 60 |